განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 08.11.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 22.12.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) / Regional Studies (European Studies, Caucasus Studies)
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	•ევროპისმცოდნეობის მაგისტრი (Master of European Studies) •კავკასიის კვლევების მაგისტრი(Master of Caucasus Studies)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული - #87, 9/30/2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მაჭარაშვილი, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტიძე - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, განათლების ექსპერტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბრაგვაძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ღუღუნიშვილი, სტუდენტ-ექსპერტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ხორციელდება, ითვალისწინებს კურსდამთავრებულისთვის ერთ-ერთი კვალიფიკაციის - ევროპისმცოდნეობის ან კავკასიის კვლევების მაგისტრის მინიჭებას. პროგრამა 2011 წლიდან აკრედიტირებული სამაგისტრო პროგრამის - პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები) მოდიფიცირებული ვერსიაა, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიქმნა. რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, მათ შორის 90 კრედიტი ეთმობა პროგრამაში შემავალ სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით და არჩევით კურსებს, ხოლო 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 4 ნოემბერს, დისტანციურ რეჟიმში შეიკრიბა და 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა და გამოიკვეთა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 8 ნოემბერს ინტერვიუერების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ხუთი წევრის (ნანა მაჭარაშვილი, ივანნა მაჩიტიძე, ირმა ქურდაძე, დავით ბრაგვაძე, თამარ ღუღუნიშვილი) შემადგენლობით ამა წლის 8 ნოემბერს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი. ვიზიტი დისტანციურ რეჟიმში, zoom პლატფორმის მეშვეობით განხორციელდა. სამუშაო პროცესის ადმინისტრირება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. ვიზიტის პირობებში კომისიამ შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იქნა განახლებული დოკუმენტაცია (უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი უახლესი მტკიცებულებები, ხარისხის მართვის სამსახურის უახლესი ანგარიშები) და მონაცემები (პროგრამაში ჩართული იმ აკადემიური პერსონალის შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებსა და უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების გრანტებში, ისევე როგორც ინფორმაცია უშუალოდ წარმოდგენილ პროგრამის გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების შესახებ). უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს, ნაწილი კი მეორე სამუშაო დღეს წარმოადგინა.

დისტანციურ რეჟიმში კომისიამ მუშაობა 9 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 17.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის წამომადგენლებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კონკრეტულად კი ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ https://argus.ge/ge/) და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის ამოღება.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - *აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად აკმაყოფილებს პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტს (1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები) და მეტწილად შესაბამისობაშია მეორე სტანდარტთან (2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა).*

- **რეკომენდაციები**
  - ☐ რეკომენდირებულია, რომ გაიზარდოს სავალდებულო კურსების ჩამონათვალი, რომელიც გაცილებით მიღწევადს გახდის პროგრამის პირველ 5 შედეგზე გასვლის შესაძლებლობას, ვინაიდან დღეს ეს მხოლოდ 2 დარგობრივი სავალდებულო კურსით - - 1. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები და 2. კავკასიის ისტორია და პოლიტიკა და სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე მიიღწევა, ხოლო არჩევითი კურსების სისტემური მართვის აუცილებლობა ამ შედეგების უზრუნველსაყოფად აქტიურად იკვეთება. ეს შესაძლოა განხორციელდეს ერთი მხრივ, სავალდებულო კურსების ბლოკში სავალდებულო საგნების დამატებით როგორც ევროპისმცოდნეობის, ისე კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან, ასევე თითოეული, როგორც ევროპისმცოდნეობის, ისე კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკში (დღეს წარმოდგენილია არჩევითი კურსების დონეზე) სავალდებულო კურსების იდენტიფიცირებით, რათა გაცილებით სისტემურ დონეზე, სავალდებულო და არა არჩევითი კურსების დონეზე, იყოს გარანტირებული ამ 5 შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.
  - ☐ რეკომენდირებულია, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სავალდებულო კურსებთან - ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები / კავკასიის ისტორია და პოლიტიკა ერთად გაცილებით რელევანტურია ევროპისმცოდნეობისა და კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან შერჩეული იქნას სხვა საგანი/საგნები, რომელიც მეორე შედეგთან მიმართებით - სისტემური ცოდნა რეგიონულ კვლევებში (ევროპა/კავკასია) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ) - თეორიულ-კონცეპტუალურ დონეზე სისტემური ცოდნის მეტი პოტენციალის მატარებელია და რელევანტური იქნება ორივე მიმართულებისთვის (მაგ. ევროპთმცოდნეობის ძირითადი იდეები და ცნებები, ევროინტეგრაციის თეორია და პრაქტიკა, დემოკრატიზაცია და პოლიტიკური განვითარება სამხრეთ კავკასიაში).
  - ☐ პროგრამის სწავლის შედეგებთან მეტი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე რეკომენდირებულია, რომ მოხდეს ევროპისმცოდნეობისა და კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო - არჩევითი კურსების ნაწილის იდენტიფიცირება სავალდებულო კურსების სახით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, თითოეული მიმართულების ფარგლებში აუცილებელია მინიმუმ 10-12 კრედიტის მოცულობის საგნების განისაზღვრა, რომლის სასწავლო კურსებს გააჩნიათ სავალდებულო სტატუსი, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის სრულყოფილი ათვისების მიზნით. ის, თუ რომელი კურსების იდენტიფიცირება მოხდება სავალდებულო კურსების სახით, რა თქმა უნდა, თავად პროგრამის ხელმძღვანელისა და მის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსასაზღვრია ხარისხის მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.
  - ☐ რეკომენდებულია, სასწავლო კურსს „ევროპისმცოდნეობის ძირითადი ცნებები და ასპექტები“ სავალდებულო სტატუსი მიენიჭოს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სისტემური ცოდნის მიწოდება რეგიონულ კვლევებში (ევროპა) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ;

- ☐ რეკომენდირებულია, „აკადემიური წერის“ კურსი პროგრამაში პირველი ორი სემესტრის განმავლობაში იყოს შემოთავაზებული - „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტს უნდა ჰქონდეს დასრულებული სამაგისტრო საფეხურის პირველი ორი სემესტრი, ამავე დროს რეგიონული კვლევების პროგრამის მიხედვით, აღნიშნული საგანი სავალდებულო სტატუსისაა და, აქედან გამომდინარე, უნდა ისწავლებოდეს პირველი ორი სემესტრის განმავლობაში;
- ☐ რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა „Democratization and Political Development in the South Caucasus“, „ევროპეიზაციის მახასიათებლები და შედეგები კავკასიაში“, „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“, „თანამედროვე ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოება და მისი რელევანტურობა კავკასიისათვის“, უნდა განახლდეს გამოყენებული ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილი იქნას დარგის უახლესი და აქტუალური საკითხების შესწავლა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - ☐ სასურველია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესის ამსახველი შეხვედრის ოქმები დოკუმენტაციაში დამოწმებული იყოს ოფიციალური ხელმოწერებით.
  - ☐ სასურველია, რომ სავალდებულო საგნებს შორის ევროპისმცოდნეობის მიმართულებითაც, ისევე როგორც ეს ხდება კავკასიის კვლევების მიმართულებით, ინგლისურენოვანი კურსის შემოთავაზება.
  - ☐ რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა “ნაციონალიზმი ევროპაში”, ”Transnational History” სასურველია გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის განცალკევება;
  - ☐ ვინაიდან სილაბუსი წარმოადგენს უმთავრეს ინსტრუმენტს სასწავლო კურსების განსახორციელებლად, სასურველია, რომ პროგრამის ხელმძვანელობამ მოითხოვოს ერთიანი სისტემით, გაცილებით დეტალური სილაბუსები, განსაკუთრებით იმ დროს, როცა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ყოველკვირეული გადანაწილებით, ტექნიკურად უკვე დიფერენცირებულია საკითხავი მასალა როგორც ძირითადი/სავალდებულო, ისე დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალის სახით და შესაბამისი გვერდების მითითებით.
  - ☐ პროგრამის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების მეტად ეფექტიანი უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, პროგრამას ორივე მიმართულებით არჩევით სასწავლო კურსად დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი.
  - ☐ სასურველია აქტიურ პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მექანიზმის შემუშავება.
  - ☐ სასურველია, სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვა, მაგალითად თვითშეფასების ჯგუფი შედგებოდეს ასევე სტუდენტი წევრისგან.
  - ☐ სასურველია კურსდამთავრებულებთან კავშირის გაძლიერება მათთვის სხვადასხვა პროექტების და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზების პროცესში.
  - ☐ სასურველია მეტად აქტიურ რეჟიმში ჩატარდეს სხვადასხვა უცხოენოვანი საჯარო ლექცია მოწვეული დარგის წამყვანი სპეციალისტის მონაწილეობით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ☐ პროგრამის მიზნებისა და შედეგების კრიტიკული გააზრების საფუძველზე გამოყენებული არაერთი ინსტრუმენტი (შრომის ბაზრის შესწავლა, კურსდამთავრებულების და სტუდენტების შეფასებები, საუკეთესო ანალოგიებით ხელმძღვანელობა, ხარისხის მართვის გარე ინსტრუმენტების გამოყენება), რომელიც საფუძვლად დაედო პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას, იმსახურებს საუკეთესო პრაქტიკის სახით გაზიარებას.
  - ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC)“, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის ადმინისტრატორებს, ხელმძღვანელებს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს სთავაზობს ტრენინგ-მოდულებს პროგრამის შეფასების, კონკრეტულად კი, პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ. ტრენინგ-მოდულის გარდა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და რეკომენდაციებს აძლევს პროგრამის ხელმძღვანელებს და

სამუშაო ჯგუფს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით.

- ☐ პროგრამის საბოლოო შედეგების მიღწევის შესაძლებლობა იზომება სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით, რომლის ხარისხიც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გამოთხოვილი სამაგისტრო დისერტაციების შესწავლის საფუძველზე შესაბამისობაში აღმოჩნდა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული შეხვედრების პირობებში აქტიური ხაზგასმა გაკეთდა იმ უმნიშვნელოვანეს კონტრიბუციაზე, რასაც პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწევს ხარისხიანი სამაგისტრო კვლევების დაგეგმვის, განხორციელებისა და წარდგენის პირობებში და მიუთითებს პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების ეფექტურ განხორციელებაზე.
- ☐ პროგრამაში განხორციელებაში ჩართულნი არიან, როგორც მაღალი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილების მქონე და რეგიონული კვლევების აღიარებული სპეციალისტები, ისე ახალგაზრდა პროფესიონალები. პროგრამა გამორჩეულია იმითაც, რომ მასში ასევე მაღალია უცხოელი მკვლევრებისა და პროფესიონალების ჩართულობის ხარისხი. განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს პროგრამაში ინტეგრირებულ პირთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამსახველი მონაცემებიც და სამეცნიერო პროდუქტიულობის მაღალი დონე.
- ☐ პროგრამის შეფასებაში ჩართულია საერთაშორისო ექსპერტი, გლაზგოს უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების უფროსი ლექტორი, დოქტორ ამონ ჩესკინსი, რომელმაც უზრუნველყო მისი გარე კოლეგიური შეფასება. წარმოდგენილ დასკვნაში პროგრამა შეფასებულია, როგორც „სტუდენტისათვის ყოვლისმომცველი ცოდნის მიმცემი“.
- ☐ კვლევის მხარდაჭერის ეფექტიანი და მრავალფეროვანი მექანიზმები და რესურსები; სწავლების მხარდამჭერი სერვისები: „არგუსი“, Elearning, Turnitin, რაც დაბალი აკადემიური მოსწრების, სპეციალური საჭიროებების მქონე, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებების კვლევის შესაბამისად, იძლევა მათთვის ინდივიდულაური სასწავლო გეგმების შექმნის შესაძლებლობას, ეს კი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელოვანი საფუძველია.
- ☐ ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამების არსებობა, რომლის პრიორიტეტებად განსაზღვრულია როგორც კვლევა, ასევე ორმაგი ხარისხის და საერთაშორისო სასწავლო პროგრამების მომზადება/შემუშავება და მეცნიერების პოპულარიზაცია.
- ☐ საგრანტო პროგრამაში გამარჯვებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ასახვა მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო პუბლიკაციებში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- ☐ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ წინა აკრედიტაციის პირობებში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილ პროგრამაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. რეაკრედიტაციის პროცესში განახლდა პროგრამის მიზნები, შეიცვალა და განახლებული მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა და კომპონენტების შინაარსი პროგრამის შედეგების რუქით, რაც შესაძლებლობას ქმნის ახლებურად განსაზღვრული მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევასა და გაზომვას, შეიცვალა პროგრამაზე მიღების წინაპირობა და სავალდებულო გახდა ინგლისური ენის კომპეტენციის მინიმუმ B1-2-ზე დადასტურება, განახლდა, გამრავალფეროვნდა და გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები, მათ შორის: eLearning და Turnitin, დაიხვეწა და გაუმჯობესდა სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმები და ინსტრუმენტები ელექტრონულ სისტემაში „არგუსი“ მონაცემების გენერირებისა და გაანალიზების მართვის შესაძლებლობით, გაუმჯობესდა და უფრო მრავალფუნქციური გახდა არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“. ასევე, გაიზარდა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზანია აღზარდოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების ახალი თაობა, რომელიც ფლობს კომპლექსურ ცოდნას ევროპის ან კავკასიის რეგიონების ისტორიული და თანამედროვე განვითარებების შესახებ პოლიტიკის მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის ან სხვა მომიჯნავე დისციპლინების ჭრილში და შეძლებს რეგიონული კვლევების კონტექსტში არსებულ პრობლემათა კვლევას და გააზრებას თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით. აღნიშული მიზანი სრულ შესაბამისობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიასთან და ეხმიანება მასში არსებულ გამოწვევებსა და მიზნებს, რომელიც გულისხმობს კვალიფიციური, ეთიკური და კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების უნარის მქონე პროფესიონალის ჩამოყალიბებას, რომელიც, ერთი მხრივ, იქნება კონკურენტუნარიანი კადრი შრომის ბაზარზე, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ლიბერალური განათლების ღირებულებების მატარებელი, გახდება ცოდნასა და ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან, ისე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, რაც აქტიურად იყო გათვალისწინებული პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში. თვითშეფასების დოკუმენტის, რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებების შესწავლისა და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე პროგრამის უკეთ მორგების მიზნით, ჩატარდა კვლევა პოტენციურ დამსაქმებლებთან, კვლევის თვისებრივი მეთოდის (კერძოდ, ფოკუს ჯგუფის) გამოყენებით, ხოლო პროგრამის კურსდამთავრებულებთან ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა პროგრამის შეფასების მიზნით. როგორც დამსაქმებლებისგან, ასევე კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირი გამოყენებული იყო პროგრამის განახლების და მისი დახვეწის პროცესში. საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და დარგის განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო რეგიონული კვლევების სამაგისტრო საფეხურზე სწავლების საერთაშორისო პრაქტიკა (მათ შორის:University of Helsinki: Master in European and Nordic Studies; Harvard Yenching: Regional Studies-East Asia Fellowship Program; University of Michigan-Masters in International and Regional Studies სხვ.), ისევე როგორც დარგის გარე ექსპერტის, გლაზგოს უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების უფროსი ლექტორის,

დოქტორ ამონ ჩესკინის რჩევები და ხედვები. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რეაკრედიტირებული პროგრამა განთავსებული იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდსა - iliauni.edu.ge და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემაზე „არგუსი", რაც აკმაყოფილებს საჯაროობისა და პროგრამის შესახებ ინფორმაციის მეტი ხელმისაწვდომობის პრინციპებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ საგანმანათლებლო პროგრამა; ☐ პოტენციური დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში; ☐ კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში (2017-2018; 2020-2021); ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი; ☐ 2018-2024 წლების სტრატეგია ☐ საერთაშორისო, გარე შეფასების დოკუმენტი; ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission ☐ უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.iliauni.edu.ge; ☐ საერთაშორისო ანალოგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ☐ პროგრამის მიზნებისა და შედეგების კრიტიკული გააზრების საფუძველზე გამოყენებული არაერთი ინსტრუმენტი (შრომის ბაზრის შესწავლა, კურსდამთავრებულების და სტუდენტების შეფასებები, საუკეთესო ანალოგიებით ხელმძღვანელობა, ხარისხის მართვის გარე ინსტრუმენტების გამოყენება), რომელიც საფუძვლად დაედო პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას, იმსახურებს საუკეთესო პრაქტიკის სახით გაზიარებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ☐ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ წინა აკრედიტაციის პირობებში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილ პროგრამაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. რეაკრედიტაციის პროცესში განახლდა პროგრამის მიზნები, შეიცვალა და განახლებული მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა და კომპონენტების შინაარსი პროგრამის შედეგების რუქით, რაც შესაძლებლობას ქმნის ახლებურად განსაზღვრული მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევასა და გაზომვას, შეიცვალა პროგრამაზე მიღების წინაპირობა და სავალდებულო გახდა ინგლისური ენის კომპეტენციის მინიმუმ B1-2-ზე დადასტურება, განახლდა, გამრავალფეროვნდა და გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები, მათ შორის: eLearning და Turnitin, დაიხვეწა და გაუმჯობესდა სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმები და ინსტრუმენტები ელექტრონულ სისტემაში „არგუსი" მონაცემების გენერირებისა და გაანალიზების მართვის შესაძლებლობით, გაუმჯობესდა და უფრო მრავალფუნქციური გახდა არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი". ასევე, გაიზარდა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც სრულად შეესაბამება პროგრამის მიზანს, ისევე როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს და ასახულია პროგრამის მიზნის რუკაში, ხოლო საბოლოო სახით იზომება სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლების მითითებით, აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს: 1. სიღრმისეული ინტერდისციპლინური ცოდნა რეგიონის (ევროპა/კავკასია), მათ შორის - მისი ისტორიული განვითარებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ; 2. სისტემური ცოდნა რეგიონულ კვლევებში (ევროპა/კავკასია) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ; 3. სისტემური ცოდნა რეგიონში (ევროპა/კავკასია) არსებული ინსტიტუციური სისტემების, მათი სპეციფიკის და პოლიტიკის შესახებ; 4. რეგიონული კვლევების კონტექსტში არსებული აქტუალური საკითხების დამოუკიდებლად კვლევის უნარი რელევანტური კვლევის მეთოდებისა და ინტერდისციპლინური ცოდნის გამოყენებით; 5. კავკასიის ან ევროპის რეგიონში განვითარებული პროცესების ანალიზის და შეფასების უნარი; 6. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კვლევის შედეგების, საკუთარი დასკვნების და დასაბუთებული არგუმენტების წარდგენის უნარი, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოებების წინაშე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; 7. ავტონომიურად მოქმედების უნარი სწავლისა და კვლევის პროცესში და ავლენს საკუთარ მეცნიერულ ხედვასა და დამოკიდებულებას (scientific attitude). თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არის მიღწევადი და რეალისტური. მიუხედავად იმისა რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ნათლად არის განსაზღვრული დარგისთვის საჭირო ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობები და ავტონომიურობა, მათი მიღწევადობა ეჭვქვეშ დგება პროგრამის სავალდებულო 30 კრედიტიანი მოცულობით წარმოდგენილი საგნებისა და სამაგისტრო ნაშრომის პირობებში იმ დროს, როცა სავალდებულო დარგობრივი კურსების მოცულობა, ორივე კვალიფიკაციის (ერთი მხრივ, ევროპისმცოდნეობის მაგისტრის (Master of European Studies), მეორე მხრივ კი კავკასიის კვლევების მაგისტრის (Master of Caucasus Studies)) მისანიჭებლად მხოლოდ 2 სავალდებულო დარგობრივი კურსით - 1. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები და 2. კავკასიის ისტორია და პოლიტიკა არის წარმოდგენილი. რეკომენდირებულია, რომ გაიზარდოს სავალდებულო კურსების ჩამონათვალი, რომელიც გაცილებით მიღწევადს გახდის პროგრამის პირველი 5 შედეგზე გასვლის შესაძლებლობას. ეს შესაძლოა განხორციელდეს ერთი მხრივ სავალდებულო კურსების ბლოკში სავალდებულო საგნების დამატებით როგორც ევროპისმცოდნეობის, ისე კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან, ასევე თითოეული, როგორც ევროპისმცოდნეობის, ისე კავკასიის

კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკში (დღეს წარმოდგენილია არჩევითი კურსების დონეზე) სავალდებულო კურსების იდენტიფიცირებით, რათა გაცილებით სისტემურ დონეზე, სავალდებულო და არა არჩევითი კურსების დონეზე, იყოს გარანტირებული ამ 5 შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის კონკრეტულ დოკუმენტებსა და სამუშაო ინსტრუქციებს, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ ეს პროცესი რელევანტურად იქნება მართული და შეფასების შედეგების გამოიყენება მოხდება პროგრამის გასაუმჯობესებლად. განახლებული სამაგისტრო პროგრამის ამოქმედებისთანავე ძალაში შევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაეყრდნობა როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და სამიზნე ნიშნულებს, რაც მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. უფრო მეტიც, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკა გასაზიარებელი შესაძლოა აღმოჩნდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაც. კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC)“, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის ადმინისტრატორებს, ხელმძღვანელებს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს სთავაზობს ტრენინგ-მოდულებს პროგრამის შეფასების, კონკრეტულად კი, პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ. ტრენინგ-მოდულის გარდა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და რეკომენდაციებს აძლევს პროგრამის ხელმძღვანელებს და სამუშაო ჯგუფს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით.

გათასვალისიწნებელია, რომ რეაკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაცია გამყარებულია შესაბამისი მტკიცებულებებით თუმცა, სასურველია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესის ამსახველი შეხვედრის ოქმები დოკუმენტაციაში დამოწმებული იყოს ოფიციალური ხელმოწერებით.

პროგრამის შექმნის პროცესში გამოყენებულია არაერთი მტკიცებულება. თუმცა, სასურველია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესის ამსახველი შეხვედრის ოქმები დოკუმენტაციაში დამოწმებული იყოს ოფიციალური ხელმოწერებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ სწავლის შედეგების და მიზნის რუკები;
- ☐ სამიზნე ნიშნულები;
- ☐ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ☐ პროგრამის შემუშავების პროცესის ამსახველი შეხვედრის ოქმები;
- ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- ☐ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა “არგუსი” http://argus.ge/ge/;
- ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://iliauni.edu.ge/ge/
- ☐ სტუდენტების და კურსდათავრებულების გამოკითხვით ანგარიშები;
- ☐ პოტენციურ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანგარიში;
- ☐ საერთაშორისო ანალოგები;
- ☐ „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC)“
- ☐ დებულება.

რეკომენდაციები:

- ☐ რეკომენდირებულია, რომ გაიზარდოს სავალდებულო კურსების ჩამონათვალი, რომელიც გაცილებით მიღწევადს გახდის პროგრამის პირველი 5 შედეგზე გასვლის შესაძლებლობას, ვინაიდან დღეს ეს მხოლოდ 2 დარგობრივი სავალდებულო კურსით - 1. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები და 2. კავკასიის ისტორია და პოლიტიკა არის წარმოდგენილი

და სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე მიიღწევა, ხოლო არჩევითი კურსების სისტემური მართვის აუცილებლობა ამ შედეგების უზრუნველსაყოფად აქტიურად იკვეთება. ეს შესაძლოა განხორციელდეს ერთი მხრივ, სავალდებულო კურსების ბლოკში სავალდებულო საგნების დამატებით როგორც ევროპისმცოდნეობის, ისე კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან, ასევე თითოეული, როგორც ევროპისმცოდნეობის, ისე კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკში (დღეს წარმოდგენილია არჩევითი კურსების დონეზე) სავალდებულო კურსების იდენტიფიცირებით, რათა გაცილებით სისტემურ დონეზე, სავალდებულო და არა არჩევითი კურსების დონეზე, იყოს გარანტირებული ამ 5 შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ☐ სასურველია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესის ამსახველი შეხვედრის ოქმები დოკუმენტაციაში დამოწმებული იყოს ოფიციალური ხელმოწერებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC)“, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის ადმინისტრატორებს, ხელმძღვანელებს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს სთავაზობს ტრენინგ-მოდულებს პროგრამის შეფასების, კონკრეტულად კი, პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ. ტრენინგ-მოდულის გარდა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და რეკომენდაციებს აძლევს პროგრამის ხელმძღვანელებს და სამუშაო ჯგუფს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან [redacted] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვისთვის წინასწარ განსაზღვრული აუცილებელი მოთხოვნები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს სათანადო ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირების პროგრამაში ჩართვას, რაც პირდაპირ უკავშირდება პროგრამის შინაარსს - პროგრამაზე წარმატებული სწავლისთვის აუცილებელ საჭიროებებსა და სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რეაკრედიტაციის პროცესში, გადააზრებულ იქნა ინგლისური ენის ცოდნის აუცილებლობა პროგრამაზე სწავლის მსურველთა მიმართებით და შესაბამისად, ხარისხის მართვის არაერთი ინსტრუმენტზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიცვალა პროგრამაზე მიღების წინაპირობა, რომლის პირობებშიც სავალდებულო გახდა ინგლისური ენის კომპეტენციის მინიმუმ B1-2-ზე დადასტურება. კანდიდატების ინგლისური ენის კომპეტენცია (მინუმუმ B2-1 დონე) მოწმდება შესაბამისი ტესტის საფუძველზე. სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი. მაგისტრატურაში მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის (გასაუბრება) ფარგლებში მოწმდება სტუდენტის დარგობრივი ცოდნა, და მოტივაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პროცედურებს აკონტროლებს პროგრამაზე მიღების შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი თუ რა მეთოდებით და როგორი პროპორციით ხორციელდება შესაფასებელ კრიტერიუმების მეშვეობით მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა. შესაბამისად, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და სამართლიანია და დეტალურადაა გაწერილი პროგრამის მიღების დოკუმენტში. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებისა და მასთან დაკავშირებული არსებითი საკითხების შესახებ საჯაროა და განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამის პოპულარიზაციის და აბიტურიენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, როგორც ეს თვითშეფასების დოკუმენტიდან და ინტერვიუებიდან დგინდება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი ორგანიზებას უწევს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებთან საინფორმაციო შეხვედრებს, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. ამავე მიზნით 2020 წლიდან უნივერსტეტი ატარებს ონლაინ „ღია კარის დღეს“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ საგანმანათლებლო პროგრამა; ☐ პროგრამაზე მიღების დოკუმენტი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე: რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა; ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. https://iliauni.edu.ge/ge/ ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის

☐ მარეგულირებელი წესი.
☐ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი naec.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამა შედგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების მიხედვით, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილი დეტალური მოთხოვნების შესრულება პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტში და აქტიურად დასტურდება თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუების წარმართვის პროცესშიც.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის "რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს და ითვალისწინებს დაშვების რელევანტურ წინაპირობებს.

სამაგისტრო პროგრამა "რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" მოიცავს ორ მიმართულებას - ევროპისმცოდნეობას და კავკასიის კვლევებს. თითოეული მიმართულებით პროგრამა ითვალისწინებს 120 კრედიტის დაგროვებას შემდეგი სქემის მიხედვით:

მიმართულება - ევროპისმცოდნეობა

1. პროგრამის სავალდებულო კურსები - **30** კრედიტი;
2. ევროპისმცოდნეობის მიმართულების სავალდებულო - არჩევითი კურსები - მინიმუმ **42** კრედიტი;
3. თავისუფალი კომპონენტი - მაქსიმუმ **18** კრედიტი, რომელიც სტუდენტს შუძლია დააგროვოს როგორც რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)

4. პროგრამის, ასევე სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი სხვა პროგრამის სასწავლო კურსებიდან;
5. სამაგისტრო ნაშრომი (ევროპისმცოდნეობის მიმართულება) - **30** კრედიტი.

მიმართულება - კავკასიის კვლევები

1. პროგრამის სავალდებულო კურსები - **30** კრედიტი;
2. კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები - მინიმუმ **42** კრედიტი;
3. თავისუფალი კომპონენტი - მაქსიმუმ **18** კრედიტი, რომელიც სტუდენტს შუძლია დააგროვოს როგორც რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) პროგრამის , ასევე სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი სხვა პროგრამის სასწავლო კურსებიდან;
4. სამაგისტრო ნაშრომი (კავკასიის კვლევების მიმართულება) - **30** კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია შინაარსობრივი, ადამიანური რესურსებისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსების ინტეგრირებული მართვის დონეზე, თუმცა პროგრამის შედეგების მიღწევადობის პოტენციალი პროგრამის დღეს წარმოდგენილი სტრუქტურიდან გამომდინარე სუსტად გამოიყურება რამდენიმე არგუმენტის გათვალისწინებით: პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის პირველი 2 შედეგის მიღწევას *(1. სიღრმისეული ინტერდისციპლინური ცოდნა რეგიონის (ევროპა/კავკასია), მათ შორის - მისი ისტორიული განვითარებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ. 2. სისტემური ცოდნა რეგიონულ კვლევებში (ევროპა/კავკასია) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ),* რაც დასტურდება ასევე პროგრამის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების რუკიდანაც როგორც ევროპისმცოდნეობის, ისე კავკასიის კვლევების მიმართულების შემთხვევაში, ვინაიდან ეფუძნება 2 სავალდებულო კურსს - 1. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები და 2. კავკასიის ისტორია და პოლიტიკა და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. სხვა დანარჩენი კურსების შემთხვევაში სწავლის პირველი 5 შედეგის მიღწევის პოტენციალი, რაც შედეგების რუქიდანაც დასტურდება, მხოლოდ ალბათურია კურსების არჩევითი სტატუსიდან გამომდინარე და ნაკლებად ქმნის იმის გარანტიას, რომ მათი მეშვეობით შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება. ამავდროულად, სავალდებულო კურსთან - ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები / კავკასიის ისტორია და პოლიტიკა ერთად გაცილებით რელევანტურია ევროპისმცოდნეობისა და კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო - არჩევითი კურსების ბლოკიდან შერჩეული იქნას სხვა საგანი/საგნები, რომელიც მეორე შედეგთან მიმართებით - *სისტემური ცოდნა რეგიონულ კვლევებში (ევროპა/კავკასია) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ)* - თეორიულ-კონცეპტუალურ დონეზე სისტემური ცოდნის მეტი პოტენციალის მატარებელია და რელევანტური იქნება ორივე მიმართულებისთვის (მაგ. ევროპთმცოდნეობის ძირითადი იდეები და ცნებები, ევროინტეგრაციის თეორია და პრაქტიკა, დემოკრატიზაცია და პოლიტიკური განვითარება სამხრეთ კავკასიაში).

პროგრამის სწავლის შედეგებთან მეტი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე რეკომენდირებულია, რომ მოხდეს ევროპისმცოდნეობისა და კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო - არჩევითი კურსების ნაწილის იდენტიფიცირება სავალდებულო კურსების სახით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა იზიარებს საერთაშორისო პარტნიორების გამოცდილებას და გამოირჩევა მოქნილი სტრუქტურით, ასევე, დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსების მინიმალური რაოდენობით, რაც ინტერვიუების პროცესში აქტიურად იქნა ხაზგასმული, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, თითოეული მიმართულების ფარგლებში აუცილებელია მინიმუმ 10-12 კრედიტის მოცულობის საგნების განისაზღვრა, რომლის სასწავლო კურსებს გააჩნიათ სავალდებულო სტატუსი, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის სრულყოფილი ათვისების მიზნით. ის, თუ რომელი კურსების იდენტიფიცირება მოხდება სავალდებულო კურსების სახით, რა თქმა უნდა, თავად პროგრამის ხელმძღვანელისა და მის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსასაზღვრია ხარისხის მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში აქტიური ხაზგასმა

კეთება იმ გარემოებაზე რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაზე აპელირებაც პროგრამის რუკაზე ხდება, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სავალდებულო ყველა კომპონენტის (კურსები, სამაგისტრო ნაშრომი) გათვალისწინებით, პროგრამის სტრუქტურა კრიტიკულ გადახედვას და არჩევითი კურსების ნაწილის სავალდებულო კურსების სახით განსაზღვრის აუცილებლობაზე მიუთითებს. მსგავსი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაციებიც სრულ შესაბამისობაში იქნება პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან და შესაბამისი წინაპირობების წარდგენით მეტად სისტემურად მართავს შედეგების მიღწევის პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების,
- ☐ დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების
- ☐ კრიტერიუმები;
- ☐ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- ☐ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ☐ შეხვედრების ოქმები;
- ☐ პროგრამის გარე კოლეგიური შეფასების შედეგები;
- ☐ სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშები;
- ☐ საერთაშორისო ანალოგები -
- ☐ http://catalog.illinois.edu/graduate/las/european-union-studies-ma/learning-outcomes/
- ☐ https://www.masterstudies.com/Master-in-European-and-Nordic-Studies/Finland/University-ofHelsinki/
- ☐ https://www.harvard-yenching.org/programs/regional-studies-east-asia-fellowship-program/
- ☐ https://ii.umich.edu/ii/graduates/masters-in-international-and-regional-studies.html
- ☐ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი"
- ☐ https://argus.ge/ge/;
- ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი; https://iliauni.edu.ge/ge/
- ☐ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების,
- ☐ კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;

რეკომენდაციები:

☐ რეკომენდირებულია, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სავალდებულო კურსებთან - ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები / კავკასიის ისტორია და პოლიტიკა ერთად გაცილებით რელევანტურია ევროპისმცოდნეობისა და კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან შერჩეული იქნას სხვა საგანი/საგნები, რომელიც მეორე შედეგთან მიმართებით - სისტემური ცოდნა რეგიონულ კვლევებში (ევროპა/კავკასია) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ) - თეორიულ-კონცეპტუალურ დონეზე სისტემური ცოდნის მეტი პოტენციალის მატარებელია და რელევანტური იქნება ორივე მიმართულებისთვის (მაგ. ევროპთმცოდნეობის ძირითადი იდეები და ცნებები, ევროინტეგრაციის თეორია და პრაქტიკა, დემოკრატიზაცია და პოლიტიკური განვითარება სამხრეთ კავკასიაში).

☐ პროგრამის სწავლის შედეგებთან მეტი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე რეკომენდირებულია, რომ მოხდეს ევროპისმცოდნეობისა და კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო - არჩევითი კურსების ნაწილის იდენტიფიცირება სავალდებულო კურსების სახით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, თითოეული მიმართულების ფარგლებში აუცილებელია მინიმუმ 10-12 კრედიტის მოცულობის საგნების განისაზღვრა, რომლის სასწავლო კურსებს გააჩნიათ სავალდებულო სტატუსი, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის სრულყოფილი ათვისების მიზნით. ის, თუ რომელი კურსების იდენტიფიცირება მოხდება სავალდებულო კურსების სახით, რა თქმა უნდა, თავად პროგრამის ხელმძღვანელისა და მის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსასაზღვრია ხარისხის მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი რეგიონული კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. შინაარსი პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს და კურსის სწავლის შედეგებს. როგორც სავალდებულო, ასევე, სავალდებულო-არჩევით სასწავლო კურსებს გააჩნიათ კრედიტებით დატვირთვა, დამოუკიდებული და საკონტაქტო საათების გადანაწილება, ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსი. სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლების ხარისხის შეფასება სტუდენტების მიერ, რაც იძლევა კურსების შინაარსის, მეთოდოლოგიური მხარის გაუმჯობესების საშუალებას. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაირკვა, რომ „ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები“ სავალდებულო სასწავლო კურსი მეტად ორიენტირებულია ევროკავშირის ინსტიტუციური სისტემის და დარგობრივი პოლიტიკის შესახებ სისტემური ცოდნის მიწოდებაზე. ამავე დროს, გასაუბრებებმა და წარდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენა, რომ აღნიშნული შედეგის უზრუნველყოფა უფრო ეფექტიანად ხდება „ევროპისმცოდნეობის ძირითადი ცნებები და ასპექტები“ სასწავლო კურსის მეშვეობით, რომელსაც გააჩნია სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი. „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტს უნდა ჰქონდეს დასრულებული სამაგისტრო საფეხურის პირველი ორი სემესტრი, ამავე დროს რეგიონული კვლევების პროგრამის მიხედვით აღნიშნული საგანი სავალდებულო სტატუსისაა და, აქედან გამომდინარე, უნდა ისწავლებოდეს პირველი ორი სემესტრის განმავლობაში, რათა პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევები გამოყენებული იქნას დანარჩენი სასწავლო კურსების ფარგლებში. მისასალმებელია, კავკასიის კვლევების მიმართულებით სავალდებულო კურსის ინგლისურ ენაზე შემოთავაზება („History and Politics of the Caucasus”). ამავე დროს, კარგი იქნება, სავალდუბულო საგნებს შორის ევროპისმცოდნეობის მიმართულებითაც ინგლისურენოვანი კურსის შემოთავაზება. ძირითადად, სასწავლო მასალა წარმოდგენილ სილაბუსებში სტუდენტს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს დარგისთვის აქტუალური საკითხები. მისასალმებელია, ინგლისურენოვანი და სხვა უცხო ენებზე ლიტერატურის გამოყენება, კერძოდ, ინგლისურენოვანი საგნების ფარგლებში.

სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია უმეტესწილად თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ლიტერატურის განახლება ხდება უმეტესწილად რეგულარულად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების აზრით, სასურველია კავკასიის კვლევების მიმართულების გაძლიერება ისეთი სასწავლო კურსებით, რომლებიც მეტად ორიენტირებულია თანამედროვე პროცესების შესწავლაზე. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რიგ სავალდებულო-არჩევითი სტატუსის სასწავლო კურსების შემთხვევაში საჭიროა ლიტერატურის განახლება, მაგალითად „Democratization and Political Development in the South Caucasus", „ევროპეიზაციის მახასიათებლები და შედეგები კავკასიაში", „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში", „თანამედროვე ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოება და მისი რელევანტურობა კავკასიისათვის".

რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა "ნაციონალიზმი ევროპაში", "Transnational History" გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა მოცემულია ერთიანი სიის ფორმატში. მიუხედავად იმისა, რომ თითო კვირის ფარგლებში წარდგენილია ლიტერატურის ჩამონათვალი, ინფორმაცია სავალდებულო ლიტერატურის შესახებ სტუდენტისთვის ნათლად უნდა იყოს მოცემული.

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი სილაბუსის ერთიან სტანდარტს ეფუძნება, მასში ასახული ინფორმაციის სრულყოფილი წარმოდგენის თვალსაზრისით სილაბუსები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. კერძოდ, გვხვდება საკმაოდ დეტალური სილაბუსები, სადაც თითოეული კვირის მიხედვითაა იდენტიფიცირებული როგორც ძირითადი/სავალდებულო, ისე დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალი, ზოგიერთ შემთხვევაში კი საკითხავი/დასამუშავებელი მასალის იდენტიფიცირება არ ხდება ყოველკვირეული ლოგიკით. ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კვირეების მიხედვით ლიტერატურის მითითების საჭიროება ნაკლებად დგას, რადგან არგუსის სისტემაზე, მათ სასწავლო კურსის მასალებში სწორედ კვირეების მიხედვით დასამუშავებელი მასალები აქვთ ატვირთული. ამ პრაქტიკის მიუხედავად, ვინაიდან სილაბუსი წარმოადგენს უმთავრეს ინსტრუმენტს სასწავლო კურსების განსახორციელებლად, სასურველია, რომ პროგრამის ხელმძვანელობამ მოითხოვოს ერთიანი სისტემით, გაცილებით დეტალური სილაბუსები, განსაკუთრებით იმ დროს, როცა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ყოველკვირეული გადანაწილებით, ტექნიკურად უკვე დიფერენცირებულია საკითხავი მასალა როგორც ძირითადი/სავალდებულო, ისე დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალის სახით და შესაბამისი გვერდების მითითებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ინტერვიუები სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში;
- ☐ სამაგისტრო პროგრამის კომპეტენციების რუკა, საგნების ჩამონათვალი.

რეკომენდაციები:

- ☐ რეკომენდებულია, სასწავლო კურსს „ევროპისმცოდნეობის ძირითადი ცნებები და ასპექტები" სავალდებულო სტატუსი მიენიჭოს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სისტემური ცოდნის მიწოდება რეგიონულ კვლევებში (ევროპა) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ;
- ☐ რეკომენდირებულია, „აკადემიური წერის" კურსი პროგრამაში პირველი ორი სემესტრის განმავლობაში იყოს შემოთავაზებული - „აკადემიური წერის" სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტს უნდა ჰქონდეს დასრულებული სამაგისტრო საფეხურის პირველი ორი სემესტრი, ამავე დროს რეგიონული კვლევების პროგრამის მიხედვით აღნიშნული საგანი სავალდებულო სტატუსისაა და, აქედან გამომდინარე, უნდა ისწავლებოდეს პირველი ორი სემესტრის განმავლობაში;
- ☐ რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა „Democratization and Political Development in the South Caucasus", „ევროპეიზაციის მახასიათებლები და შედეგები კავკასიაში", „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში", „თანამედროვე ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოება და მისი რელევანტურობა კავკასიისათვის", უნდა განახლდეს

გამოყენებული ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილი იქნას დარგის უახლესი და აქტუალური საკითხების შესწავლა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ☐ სასურველია, რომ სავალდებულო საგნებს შორის ევროპისმცოდნეობის მიმართულებითაც, ისევე როგორც ეს ხდება კავკასიის კვლევების მიმართულებით, ინგლისურენოვანი კურსის შემოთავაზება. ☐ რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა "ნაციონალიზმი ევროპაში", "Transnational History" სასურველია გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის განცალკევება; ☐ ვინაიდან სილაბუსი წარმოადგენს უმთავრეს ინსტრუმენტს სასწავლო კურსების განსახორციელებლად, სასურველია, რომ პროგრამის ხელმძვანელობამ მოითხოვოს ერთიანი სისტემით, გაცილებით დეტალური სილაბუსები, განსაკუთრებით იმ დროს, როცა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ყოველკვირეული გადანაწილებით, ტექნიკურად უკვე დიფერენცირებულია საკითხავი მასალა როგორც ძირითადი/სავალდებულო, ისე დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალის სახით და შესაბამისი გვერდების მითითებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის გადაცემაზე, პრაქტიკული, კვლევითი შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კვლევითი უნარების ძირითადი განმავითარებელი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომია. აღნიშნულ კვლევაზე მუშაობის პერიოდის განმავლობაში სტუდენტი იძენს კონპლექსურ უნარებს: ლიტერატურის მოძიება, კვლევის მეთოდოლოგიის დადგენა, ემპირიული მონაცემების მოპოვება, დამუშავება და ანალიზი; წერისა და ბოლოს, კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი. ამავდროულად მისასალმებელია, რომ სამაგისტრო ნაშრომის კონცეპციის დოკუმენტში შემოთავაზებულია ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლის მეშვეობით სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაუადვილდებათ კვლევისთვის მონაცემების მოპოვება. წარდგენილი მასალებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტთა აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებას. აღნიშნული უნარების ფორმირებას ხელს უწყობს ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა *„კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში"*, ასევე *„სტატისტიკური მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში"*. ამ კურსების მიზანია მაგისტრანტს განუვითაროს ყველა ის პრაქტიკული უნარ-ჩვევა, რაც აუცილებელია კვლევის დაგეგმვისთვის, ჩატარებისთვის, შედეგების ინტერპრეტაციისთვის და უკვე ჩატარებული კვლევების შედეგების კრიტიკული

ანალიზისთვის.

იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამა გამოირჩევა კვლევით ცენტრებთან და ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით (იხ. მემორანდუმები), პრაქტიკის შემოთავაზება, როგორც არჩევითი კომპონენტის ორივე მიმართულების ფარგლებში (ევროპისმცდოდნეობის და კავკასიის კვლევების შემთხვევაში), დადებითად იმოქმედებს პროგრამის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითერაბაზე. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუებით პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე დამსაქმებლებთან. მისასალემებელია სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შემოთავაზება, ასევე, უცხოელი ლექტორების მიერ, რომლებიც ამავე დროს გამოირჩევიან უმაღლესი კვალიფიკაციით და არიან წამყვანი ექსპერტები რეგიონული კვლევების დარგში და ჩართული არიან როგორც სტანდარტული ხანგრძლივობის, ასევე, ინტენსიური ფორმატის სასწავლო კურსების წარმართვაში.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ რიგ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის/ცნობიერებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების ამაღლებას, მაგალითად, საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ასოციაციის ორგანიზებით სტუდენტებისთვის ტარდება ტრენინგები და ვორქშოფები.

სტუდენტებს ასევე აქვთ პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარების შესაძლებლობა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან პარტნიორობით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობით. მაგალითად, ერასმუს+ და ჟან მონეს ფარგლებში ინიცირებული „Developing European Studies in the Caucasus“ (DESCnet), Creation of the Graduate Curricula in Peace Studies in Georgia (PESTUGE), ასევე „ევროპის დაკავშირება პერიფერიასთან“ (LEAP).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ფინანსდება კვლევითი პროექტები, რომელშიც მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვთ რეგიონული კვლევების პროგრამის სტუდენტებსაც. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა და დამწყებ მკვლევრებს მათი კვლევითი უნარების დახვეწაში.

საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევის პროცესში სრულად ასახულია ეთიკის ნორმები. ორივე მიმართულებისთვის სავალდებულო სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“, რომლის მიზანია, სტუდენტს განუვითაროს აღწერითი, არგუმენტირებული (დარწმუნებითი), ანალიტიკური და კრიტიკული წერის უნარები, მისთვის საინტერესო სამეცნიერო/აკადემიურ სფეროში არსებული სანდო და ვალიდური წყაროების/აკადემიური ნაშრომის/ების საფუძველზე. მეოთხე სემესტრში გათვალისწინებულია კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ცალკეული სასწავლო კურსები, სადაც სტუდენტი აქტიურად იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას Turnitin-ს, სადაც ხდება ცალკეული დავალებების, სასწავლო კურსით გათვალისწინებული ესეებისა და სამაგისტრო ნაშრომის ცალკეული ნაწილების ატვირთვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ☐ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ მემორანდუმები პარტნიორ-ორგანიზაციებთან;
- ☐ ინტერვიუები ექსპერტთა გუნდის ვიზიტის ფარგლებში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ☐ პროგრამის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების მეტად ეფექტიანი უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, პროგრამას, ორივე მიმართულებით, არჩევით სასწავლო კურსად დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები გამოიყენება სასწავლო კურსის შინაარსის და სპეციფიკის მოთხოვნების, ასევე სასწავლო კურსით მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ფოკუსირებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდებზე. თეორიული სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურს, კურსების შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში რიგი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოიყენება, მათ შორის *ლექცია, სემინარი, ანალიზი და სინთეზი, პრაქტიკული სამუშაო, პროექტები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, ელექტრონული სწავლების ელემენტები, სიტუაციური თამაშები, გონებრივი იერიში, სიმულაციები, შემთხვევის შესწავლა, სუპერვიზია, რეფლექსია.* პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას. სასწავლო პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუების გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ ძირითადად გამოყენებულია ვალიდური, სიღრმისეული და კომპლექსური ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები, დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი). რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომს, მუშაობის პროცესში, ძირითადად, გამოიყენება ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდები, როგორიცაა *სუპერვიზია, დისკუსია, პრაქტიკული მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, რეფლექსია.* მისასალმებელია, სასწავლო კურსების ფარგლებში ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდების კომბინირება, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს ცოდნის ეფექტიანი ათვისებისათვის საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების მიხედვით. მაგალითად, „აკადემიური წერის“ კურსის ფარგლებში გამოიყენება *ინტერაქტიული სწავლების* პრინციპები, კერძოდ, ინდივიდუალური და ჯგუფური (მცირე და საშუალო ზომის ჯგუფებში) მუშაობა, დისკუსია; შემთხვევის ანალიზი(case study); ნიმუშის/ების მიხედვით წერა (product approach/writing); კოლაბორაციული, წერის პროცესში სწავლა (process approach/writing); რეცენზირება/ურთიერთშეფასება (peer review). სასწავლო კურსებში „Forms and Consequences of Europeanisation in the Caucasus“, “EU-Georgia Development Cooperation”, “Managing diversity, securing minority rights in EU and South Caucasus” გათვალისწინებულია დარგისთვის აქტუალური წიგნის რეცენზიის მომზადება, რაც ხელს უწყობს სტუდენტის მიერ კრიტიკული მსჯელობის უნარის დახვეწას, მოცემული კვლევის ძლიერი და სუსტი ასპექტების იდენტიფიცირებას, რაც თავისთავად გამოადგება მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის წერის დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ☐ რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები; ☐ სამაგისტრო ნაშორმის კონცეპცია;

☐ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენთა შეფასების პროცესი შეესაბამება როგორც შიდა (საუნივერსტეტო), ასევე გარე რეგულაციებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ და ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი). თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი პოზიცია, რომლის თანახმად, სამაგისტრო პროგრამაში შემავალ ყველა კომპონენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა და შესაბამისი კრიტერიუმები, რითაც უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების შესახებ, დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრის პროცესშიც.

ვიზიტის დროს ასევე დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსით“ სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს თუ კონცეფციას და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსის შეფასების სისტემა დგინდება კონკრეტული კურსის სპეციფიკის, შინაარსის, მიზნიდან და შედეგებიდან გამომდინარე და მოიცავს კურსისთვის რელევანტურ შეფასების მეთოდებსა და ცხად კრიტერიუმებს, რითაც აიხსნება კიდეც პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი შეფასების არაერთგვაროვანი და ერთმანეთისგან განსხვავებული მეთოდებით ხელმძღვანელობა, რაც პროგრამის ერთ-ერთი უპირატესობაა.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან არის შესაბამისობაში. კერძოდ, შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნისა და უნარების გაზომვას და ამ გზით სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო

კომპონენტია და მისი ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს აკადემიური/მოწვეული პერსონალისაგან თავიანთი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების შესაძლებლობის შესახებ, რაც მათთან ინტერვიუების დროსაც გმოიკვეთა. აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ერთი მხრივ ელექტრონული სისტემა „არგუსი“, რომელიც საშუალებას იძლევა მუდმივ რეჟიმში დამყარდეს კომუნიკაცია სტუდენტსა და ლექტორს შორის, ხოლო მეორე მხრივ ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები, რომელთა დროც ყოველი სემესტრის დასაწყისში თანხმდება სტუდენტებთან. გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური შეფასებების შემდგომ, სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და ქულის შესახებ უკუკავშირი.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს და პირობებს და სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.

პროგრამის საბოლოო შედეგების მიღწევის შესაძლებლობა იზომება სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით, რომლის ხარისხიც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გამოთხოვილი სამაგისტრო დისერტაციების შესწავლის საფუძველზე შესაბამისობაში აღმოჩნდა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული შეხვედრების პირობებში აქტიური ხაზგასმა გაკეთდა იმ უმნიშვნელოვანეს კონტრიბუციაზე, რასაც პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწევს ხარისხიანი სამაგისტრო კვლევების დაგეგმვის, განხორციელებისა და წარდგენის პირობებში და მიუთითებს პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების ეფექტურ განხორციელებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ☐ პროგრამის კურსების შეფასების კითხვარი;
- ☐ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“ https://argus.ge/ge/;
- ☐ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ☐ სისტემები https://elearning.iliauni.edu.ge და https://turnitin.com
- ☐ პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ☐ პროფესიული განვითარების აქტივობების ჩამონათვალი
- ☐ აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის დებულება
- ☐ (TSDC).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ☐ პროგრამის საბოლოო შედეგების მიღწევის შესაძლებლობა იზომება სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით, რომლის ხარისხიც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გამოთხოვილი სამაგისტრო დისერტაციების შესწავლის საფუძველზე შესაბამისობაში აღმოჩნდა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული შეხვედრების პირობებში აქტიური ხაზგასმა გაკეთდა იმ უმნიშვნელოვანეს კონტრიბუციაზე, რასაც პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწევს ხარისხიანი სამაგისტრო კვლევების დაგეგმვის, განხორციელებისა და წარდგენის პირობებში და მიუთითებს პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების ეფექტურ განხორციელებაზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X [redacted]		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს პორტალი „არგუსი“-ის მეშვეობით, სადაც თითოეულ სტუდენტს პირადი გვერდი აქვს, რომელზე წვდომასაც მომხმარებლით და პაროლით ახდენენ. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება აღნიშნული პორტალის მეშვეობით აირჩიონ საგნები, ნახონ შეფასებები და კრედიტები, შეამოწმონ დავალიანება, გამოითხოვონ სხვადასხვა ცნობები, გაიგონ საგამოცდო თარიღები, მიიღონ ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების, კარიერული განვითარების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვა მიმდინარე სიახლეების შესახებ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი პირებისთვის უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც დაინტერესებული პირები იღებენ დეტალურ ინფორმაციას სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია FabLab, სტარტაპების პრეაქსელერატორი ZoomOut და ინოვაციების ტექნოლოგიური ლაბორატორია Unilab. FabLaB-სა და UniLab-ში სტუდენტებისთვის ტარდება სხვადასხვა ტრენინგი. სტუდენტებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ მათ აქვთ სურვილი, რომ ჩატარდეს სხვადასხვა უცხოენოვანი საჯარო ლექცია მოწვეული დარგის წამყვანი სპეციალისტის

მიერ.

უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული საინფორმაციო პორტალი „არგუსი“, სადაც იტვირთება ელექტრონული სასწავლო მასალები და სილაბუსები. აღნიშნული პორტალის მეშვეობით სტუდენტები უკავშირდებიან ლექტორს, ხელმძღვანელს და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალს. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია სხვადასხვა სახის სამეცნიერო თუ ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირებით. გასაუბრებისას სტუდენტებმა დაგვიდასტურეს, რომ იყენებდნენ სამეცნიერო ბაზებს სამაგისტრო ნაშრომის შექმნისას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტს Google-იდან შესყიდული აქვს პროგრამა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს საინტერესო თემატიკასთან დაკავშირებით ინფორმაციის ძებნა შეუძლიათ ინტეგრირებულად ანუ ლიცენზირებულ საძიებო პროგრამაში ჩაწერენ საჭირო თემატიკას და პროგრამა იპოვნის რომელ სამეცნიერო ბაზაში(Jstor, ebsco…) რა სტატიაა მითითებულ თემაზე. პირადი მეილების მეშვეობით სტუდენტები სამეცნიერო ბაზებზე წვდომას უნივერსიტეტის სივრცის მიღმაც ახდენენ. სტუდენტებს პროგრამაზე სწავლის პერიოდში აქვთ აკადემიური პერსონალისგან და პროგრამაში ინტეგრირებულ პირებთან კონსულტაციის შესაძლებლობა. სილაბუსებში მითითებულია ინფორმაცია საკონსულტაციო შეხვედრების დროის და ადგილის შესახებ.

გასაუბრებისას დადგინდა, რომ სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართული საუნივერსიტეტო პროცესში, მაგალითად თვითშეფასების ანგარიშის კომისიაში არ იღებს მონაწილეობას არცერთი სტუდენტი. ადმინისტრაციამ განგვიმარტა, რომ სტუდენტებთან ჩაატარეს ფოკუს ჯგუფის კვლევა, რითაც განახორციელეს მთი პოზიციების მაქსიმალური გათვალისწინება.

სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ ისინი ინფორმირებულები არიან სხვადასხვა აქტივობების შესახებ, რომელსაც მათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს როგორც პროფესიული, ისე პერსონალური წინსვლისა და განვითარებისთვის. თუმცა, მათთან წარმართული ინტერვიუს პროცესში, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ არ იღებენ მონაწილეობას მსგავს აქტივობებში. ექსპერტთა ჯგუფის დისკუსიაში მონაწილე სტუდენტებიდან ნაკლებად დადასტურდა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ☐ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კონკრეტულად კი ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ https://argus.ge/ge/)
- ☐ გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები;
- ☐ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები;
- ☐ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ☐ სასურველია აქტიურ პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მექანიზმის შემუშავება.
- ☐ სასურველია, სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვა, მაგალითად თვითშეფასების ჯგუფი შედგებოდეს ასევე სტუდენტი წევრისგან.
- ☐ სასურველია კურსდამთავრებულებთან კავშირის გაძლიერება მათთვის სხვადასხვა პროექტების და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზების პროცესში.
- ☐ სასურველია მეტად აქტიურ რეჟიმში ჩატარდეს სხვადასხვა უცხოენოვანი საჯარო ლექცია მოწვეული დარგის წამყვანი სპეციალისტის მონაწილეობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რაც დასტურდება აკადემიური/აფილირებული პერსონალის მაღალი კვალიფიკაციითა და სამეცნიერო პროდუქტიულობით და აკადემიურ/აფილირებულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროპორციით და იძლევა მაღალი ხარისხის სამაგისტრო ნაშრომების წარმოდგენის შესაძლებლობებს. ეს უკანასკნელი დადასტურდა კიდევ სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ თავიანთ ხელმძღვანელებთან. ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს, რომ იღებენ საჭირო მასალებსა და ინფორმაციებს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს ხელმძღვანელების მხრიდან მზაობა - ნებისმიერ დროს გაუწიონ მათ შესაბამისი დახმარება. სემესტრის ბოლოს ტარდება გამოკითხვა იმის შესახებ თუ რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები გავლილი სასწავლო კურსით, სადაც შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი შეხედულებები ანონიმურად.

სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტი, „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია“, რომელშიც მითითებულია თუ ვინ უნდა იყოს ხელმძღვანელი და რა ევალება.

„სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს:

- *პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები;*
- *მოწვეული პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას;*
- *შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია.*
  - *შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.*

„სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ძირითადი ვალდებულებები/მოვალეობებია:

- *რეგულარული კონსულტაციები გაუწიოს სტუდენტს. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და სამაგისტრო ნაშრომის თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის კვლევის დიზაინი, პროექტის მენეჯმენტი, სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესი. ასევე, ის ეხმარება სტუდენტს სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში.*
  - *შეაფასოს სტუდენტის მუშაობის პროგრესი და მისცეს კონსტრუქციული და დროული უკუკავშირი;*

○ *წარმოადგინოს ნაშრომის შესახებ დასკვნა და შეფასება.“* ○ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ იცნობენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ☐ ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ☐ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კონკრეტულად კი ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ https://argus.ge/ge/); ☐ გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები; ☐ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები; ☐ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. მათი კვალიფიკაცია იძლევა საშუალებას მიღწეულ იქნას სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამაზე დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი დადასტურებულია მათი გამოცდილებითა და აკადემიური საქმიანობით. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა ადეკვატურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა თითქმის 5-ჯერ აღემატება მოწვეული პერსონალის რაოდენობას (შეფარდება 19:4). პროგრამა გამორჩეულია იმითაც, რომ მასში ასევე მაღალია უცხოელი მკვლევრებისა და პროფესიონალების ჩართულობის ხარისხი. განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს პროგრამაში ინტეგრირებულ პირთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამსახველი მონაცემებიც და სამეცნიერო პროდუქტიულობის მაღალი დონე. უნივერსიტეტში შემუშავებული წესის მიხედვით, ფაკულტეტს განსაზღვრული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რაც პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფს სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვას. სწავლის შედეგებისთვის შეუსაბამო ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში კი ქმნის მათი აღმოფხვრის შესაძლებლობას. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია ილიას უნივერსიტეტის პროფესორი გია ნოდია. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კომპეტენცია და გამოცდილება. ის არის დარგის ერთ-ერთი გამორჩეული პროფესიონალი და მისი აკადემიური საქმიანობა მაღალ შეფასებას იმსახურებს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში. ეს დასტურდება პროგრამის განხორციელების შეფასების წესითა და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებით. ეს ასევე დასტურდება აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელობისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესით. მაგისტრანტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალით. პროგრამის განხორციელებაზე

პასუხისმგებელია ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ მაგისტრანტებთან აქტიურ კომუნიკაციაშია ფაკულტეტის ადმინისტრაცია და უშუალოდ დეკანი, ისევე როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეფასებისა და განვითარების სამსახური და სასწავლო პროცესების კოორდინატორი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ აკადემიური/ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.
- ☐ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები.
- ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.
- ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.
- ☐ სერვისებით კმაყოფილების კვლევის ანგარიში.
- ☐ პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი.
- ☐ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა.
- ☐ თვითშეფასების ანგარიში.
- ☐ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ☐ პროგრამაში განხორციელებაში ჩართულნი არიან, როგორც მაღალი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილების მქონე და რეგიონულ კვლევების აღიარებული სპეციალისტები, ისე ახალგაზრდა პროფესიონალები. პროგრამა გამორჩეულია იმითაც, რომ მასში ასევე მაღალია უცხოელი მკვლევრებისა და პროფესიონალების ჩართულობის ხარისხი. განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს პროგრამაში ინტეგრირებულ პირთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამსახველი მონაცემებიც და სამეცნიერო პროდუქტიულობის მაღალი დონე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი მუდმივად აწარმოებს კვლევებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება და მათი შედეგების ანალიზს.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულ მეთოდოლოგიას.

აკადემიური პერსონალის შეფასება ითვალისწინებს მათი კვლევითი და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში ხორციელდება სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასება. წარმოდგენილ პროგრამასთან ასოცირებული პერსონალის ბოლო 5 წლის კვლევითი პროდუქტიულობა შთამბეჭდავია (ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 78; საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 178; ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 65; საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 67 ; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები : წიგნების თარგმნა და რედაქტირება - 37; აკადემიური სტიპენდიები - 82; საავტორო სახელმძღვანელოები/წიგნები - 64).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების პარალელურად უნივერსიტეტი ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური პერსონალს ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევითი შესაძლებლობების მოზიდვაში. სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური გეგმავს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე ორიენტირებულ შიდა საუნივერსიტეტო საქმიანობებს და შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მექანიზმებს.

2017 წლიდან უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გეგმის შემუშავებას და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცესის რეგულირებას. საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის.

უნივერსიტეტის ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას. საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტებს სხვადასხვა რესურსების მოძიებაში.

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი მსურველებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს მათი კვლევითი საქმიანობის განსავითარებლად.

პერსონალის კვლევითი და აკადემიური საქმიანობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობია უნივერსიტეტის ჩართულობა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. მათ შორის ევროკომისიის პროექტ NUCLEUS-ის კონსორციუმის წევრობა.

კვლევითი პოტენციალის გაზრდას ემსახურება უნივერსიტეტში დაწესებული ჯილდო ახალგაზრდა მკვლევრებისთვის - პასკალის პრემია, რომელიც მკვლევარს გადაეცემა დარგში შექმნილი განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. აღსანიშნავია, რომ პრემიის მიმღებთა რაოდენობა შეზღუდული არ არის და მისი მიღება შეუძლია ყველას, ვინც შესაბამის პირობას აკმაყოფილებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- □ განვითარების სამსახურის დებულება;
- □ კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
- □ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესი;
- □ სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- □ სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში;
- □ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი;
- □ სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება;
- □ აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის დებულება;

☐ თვიშეფასების ანგარიში; ☐ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრეს (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, რაც აუცილებელია მისი წარმატებული განხორციელებისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა შესაძლებლობით, რაც სტუდენტებისთვის მისი სერვისებით სარგებლობას კომფორტულს ხდის. ბიბლიოთეკას გააჩნია: ა) სამკითხველო დარბაზები; ბ) ჯგუფური მუშაობის სივრცეები; გ) მულტიმედია რესურსებით აღჭურვილი სივრცეები; დ) კომპიუტერული რესურსცენტრი; ე) შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახები. ბიბლიოთეკა მდიდარია წიგნადი ფონდით. უნივერსიტეტში დამტკიცებული სილაბუსების მიხედვით, ხდება მისი ფონდების განახლება, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მათთვის საჭირო ლიტერატურა ადვილად მოიძიონ. ბიბლიოთეკის საშუალებით სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული წიგნები, პუბლიკაციები და პერიოდული გამოცემები. უნივერსიტეტი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აძლევს არაერთ საერთაშორისო ელექტრონულ აკადემიურ ბაზაზე წვდომის საშუალებას, როგორებიცაა: Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science), Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue. პროგრამის მაგისტრანტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის სხვადასხვა კვლევითი ცენტრების რესურსებით.

გამართულად მუშაობს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“ და ელექტრონული სწავლების პორტალი elearning, რომლის გაცნობის საშუალებაც აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჯგუფის წევრებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების პროცესში ილიაუნის ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების უფროსისა და ბიბლიოთეკის დირექტორის მრჩეველის დახმარებით მიეცათ. უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია turnitin-ის სერვისები. გამართულად მუშაობს და ნავიგაციისთვის მოსახერხებელია ილიას უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ https://argus.ge/ge/ ☐ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები https://library.iliauni.edu.ge ☐ ელექტრონული სწავლების პორტალი: https://elearning.iliauni.edu.ge/; ☐ ხელშეკრულება Turnitin სერვისის ლიცენზიის გადაცემის შესახებ ☐ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები - ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და მატერიალური რესურსების სამსახურში ☐ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები ☐ სერვისების კვლევის ანგარიში. ☐ მემორანდუმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დგინდება, რომ პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებულ ფუნქციონირებას და შეესაბამება მის საჭიროებებს. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია და უზრუნველყოფს სწავლების შედეგების მიღწევას.

პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში. იმის მიუხედავად, რომ პროგრამა ფინანსურად მომგებიანი არ არის, ის ფარავს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელ ხარჯებს, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებსა და პროგრამაზე დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხარჯებს. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ხორციელდება რესურსებით მდიდარ სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯების უზრუნველყოფა მის ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მას ამ კუთხით პრობლემა არ აქვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ პროგრამის ბიუჯეტი ☐ თვითშეფასების ანგარიში ☐ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X [redacted]			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და

იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის "რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" ხელმძღვანელი და სწავლებაში ჩართული პერსონალი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად თანამშრომლობს უნივერსტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში - შესაბამისი პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შესაბამისად, რაც აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნვლყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. მნიშვნელოვანია პროგრამის თვითშეფასების პროცესიც, სადაც სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით მოგროვებული მონაცემებისა და სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით ხორციელდება შესაბამისობის განხილვა, აგრეთვე პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის და დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი. პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლებაში ჩართულ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიმუშავებს შიდა თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზსა და ანალიზის საფუძველზე პროგრამული ცვლილებების პაკეტს. შემუშავებული თვითშეფასების ანგარიში განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს. აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალ ხარისხს; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას; პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას; სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხს; სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციას; პერიოდულ და ეფექტურ მონიტორინგს, შეფასებას და რეაგირებას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმებს, იგი ეფუძნება ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების შესაბამისი პრინციპების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის, მათი ინტერვიუირებისა და სხვა აკადემიური აქტივობის შედეგებს. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე. აღნიშნული მექანიზმები განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპებს. რაც მდგომარეობს: სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების, სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასებისა და სრულყოფის, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროცედურების განხორციელებაზე. ასევე აქტიურად მიმდინარეობს პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებების შედეგებით. წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, სტუდენტების, პროფესორების) მაღალი ჩართულობით, პროგრამის

განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო მიმდინარე პროცესების ანალიზისა და მასზე მორგებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებით. თუმცა, თვითშეფასების ჯგუფში სტუდენტი წარმოდგენილი არ ყოფილა და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებებისა და პოზიციების შესწავლა ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების მეშვეობით განხორციელდა.

როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, შემუშავდა და განისაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები, დადგინდა შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს განხორციელებული შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ სამაგისტრო - საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა აქტიურად მიმდინარეობს თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ, ასევე ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, მუშავდება რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის განვითრების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობას, პროგრამის განხორციელების უწყვეტ მონიტორინგს და მუდმივ განვითარებას.

რეაკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები) და ფაკულტეტის კურიკულუმის ექსპერტი. პროგრამის განმახორციელებელმა პროფესორ-მასწავლებლებმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად იმუშავეს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფთან გასაუბრებით.

მათი თქმით, გადაიხედა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, შეფასების კრიტერიუმებში დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინების შედეგად, მოდიფიცირდა კურსების თემატიკა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობას და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორი, აღსანიშნავია, რომ ხარისხის შიდა შეფასების მიზნით გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ელექტრონული სისტემა არგუსი, რომელიც უზრუნველყოფს არჩევანის გარემოს http://argus.iliauni.edu.ge/; ის მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონეტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუების შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ☐ პროგრამების ხელმძღვანელის საქმიანობის წესი;
- ☐ აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესი;
- ☐ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ☐ შეხვედრების ოქმები;
- ☐ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული კვლევის ანგარიშები;
- ☐ ელექტრონული სისტემა არგუსი, რომელიც უზრუნველყოფს არჩევანის გარემოს http://argus.iliauni.edu.ge/;
- ☐ პროგრამის რუკა; სამიზნე ნიშნულები; სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა, განიხილავს მათ და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით. გარე შეფასების მიზნით, რეგიონული კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (მიზნები, სწავლის შედეგები და კატალოგი/სტრუქტურა) გადაეგზავნა დარგის ექსპერტს, გლაზგოს უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების უფროს ლექტორს, დოქტორ ამონ ჩესკინს, რომელმაც უზრუნველყო მისი გარე კოლეგიური შეფასება. დასკვნის მიხედვით, „წარმოდგენილი პროგრამა დადებითად არის შეფასებული და სტუდენტს აძლევს ცოდნას პოლიტიკის, საზოგადოების, კულტურის, ეკონომიკის და ისტორიის შესახებ, რაც სტუდენტისათვის ყოვლისმომცველ ცოდნის მიმცემია, ასევე შთამბეჭდავია შეთავაზებული კურსებიც, რაც სტუდენტს არჩევანის ფართო სპექტრის შესაძლებლობას აძლევს“. ასევე პროგრამა გადაეგზავნა პოტენციურ დამსაქმებლებს, რომლებთანაც ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი. მათი შეთავაზებები და წინადადებები ასახულია პროგრამის სტრუქტურაში. მაგალითად, დამსაქმებლების რეკომენდაციით, კურსდამთავრებულის წერის უნარების გაუმჯობესების კუთხით, პროგრამის სტრუქტურაში არის ისეთი კურსები, როგორიცაა აკადემიური წერა, კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში(Research Design and Methodology in Political Sciences), რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით. გარე შეფასების მექანიზმებს შორის ასევე გამოყენებულია კურსდამთავრებულების უკუკავშირი. კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთან ხდებოდა კომუნიკაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მათი უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაცია ასევე აისახა პროგრამაში. მაგალითად, კურსდამთავრებულების უკუკავშირის შესაბამისად, მოხდა არჩევითი კურსების გამრავალფეროვნება, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით.

პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებული იყო ასევე 2011 წელს აკრედიტაციის ექპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები. კერძოდ: გამრავალფეროვნდა კურსები და პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე დაემატა რეგიონული კვლევების ინტერდისციპლინურ დარგთან გადაკვეთაში მყოფი სფეროების რელევანტური კურსები.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენლების და კურიკულუმის ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გამოყენებული იყო სამაგისტრო საფეხურზე რეგიონული კვლევების სწავლების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა (University of Helsinki: Master in European and Nordic Studies; Harvard Yenching: Regional Studies-East Asia Fellowship Program; University of Michigan-Masters in International and Regional Studies და სხვა)

ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ განახლებული სამაგისტრო პროგრამის ამოქმედებისთანავე ძალაში შევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაეყრდნობა როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და სამიზნე ნიშნულებს, რაც მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს.

კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მიზნებისთვის გამოყენებული იქნება სამიზნე ნიშნულები, რომლებიც ითვალისწინებს თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის რელევანტურ ინსტრუმენტებს, მაჩვენებლებს და შეფასების გეგმას. ხოლო არაპირდაპირი შეფასებისთვის - სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის წარმომადგენლებთან გასაუბრებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ აკრედიტაციის ექსპერტების 2011 დასკვნა/ოქმი #5 ;
- ☐ დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- ☐ დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიშები.
- ☐ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ☐ პროგრამის შეფასებაში ჩართულია საერთაშორისო ექსპერტი, გლაზგოს უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების უფროსი ლექტორი, დოქტორ ამონ ჩესკინსი, რომელმაც უზრუნველყო მისი გარე კოლეგიური შეფასება. წარმოდგენილ დასკვნაში პროგრამა შეფასებულია, როგორც „სტუდენტისათვის ყოვლისმომცველი ცოდნის მიმცემი“.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის

გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდა ხარისხის კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე აქტორების მონაწილეობა შეფასების, მათ შორის პროგრამების შეფასების პროცესებში, სტრუქტურული ერთეულების მიერ შეფასების შედეგების გამოყენება საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის და უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულება. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა: ●გამჭვირვალობა და გაზიარებულობა; ●მონაწილეობითობა; ●უწყვეტობა; ●აკადემიური კეთილსინდისიერება და თავისუფლება; ●ანგარიშვალდებულება. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით და ეფუძნება შემდეგ სტანდარტებს: ●გამოყენებაზე ორიენტირებულობა - კვლევის შედეგები გამოყენებადია და პასუხობს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს; ●განხორციელებადობა – კვლევის განხორციელების შესაძლებლობები არის რეალისტური, ეფექტური და ეფექტიანი; ●ეთიკა – კვლევის პროცესში გათვალისწინებულია ეთიკის საკითხები (კონფიდენციალურობა, ინფორმირებულობა, შედეგების/მიგნებების გამჭვირვალობა); ●სიზუსტე და სისწორე – კვლევის პროცესი უზრუნველყოფს სანდო და ვალიდური შედეგების მიღებას; ●შეფასების ანგარიშვალდებულება - ხდება კვლევის დოკუმენტირება, შეფასება. არსებობს კვლევის შედეგების გადამოწმების შესაძლებლობა. შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლება-სწავლის), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას. საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის გადაფასების და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას. ასეთი კვლევების საკითხი შეიძლება იყოს: დაბალი აკადემიური მოსწრების, სპეციალური საჭიროებების მქონე, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებების კვლევა და ა.შ. შიდა ხარისხის კვლევების/შეფასებების მიზნებისთვის გამოიყენება, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. კვლევები ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ან ad-hoc შექმნილი ინსტრუმენტებით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული კვლევის შედეგები გამოიყენება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიერ საკუთარი

საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისა და სერვისების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნებისთვის, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ადმინისტრაციის, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებებით. პროგრამის განვითრებისათვის ასევე მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო კვლევითი სტრატეგიისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის საფუძველზე წარმატებული კვლევებისთვის ყოველწლიური შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების/ თანადაფინანსების სისტემის არსებობა. მაგალითად, აღსანიშნავია, ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამის გამოცხადება 2019 და 2020 წლებში, რის საფუძველზეც პროგრამის პროფესორმა ნინო ფავლენიშვილმა მოიპოვა შიდა გრანტი. ასევე 2021 წლის 17 მაისიდან დაგეგმილია განახლებული ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამის გამოცხადება, რომლის პრიორიტეტებად განსაზღვრულია როგორც კვლევა, ასევე ორმაგი ხარისხის და საერთაშორისო სასწავლო პროგრამების მომზადება/შემუშავება, მეცნიერების პოპულარიზაცია. საგრანტო პროგრამაში გამარჯვებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები შემდეგ ასისახება მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო პუბლიკაციებში. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ☐ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები; ☐ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონულისისტემა „არგუსი“- https://argus.ge/ge/. ☐ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ☐ კვლევის მხარდაჭერის ეფექტიანი და მრავალფეროვანი მექანიზმები და რესურსები; სწავლების მხარდამჭერი სერვისები: „არგუსი“, Elearning, Turnitin, რაც დაბალი აკადემიური მოსწრების, სპეციალური საჭიროებების მქონე, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებების კვლევის შესაბამისად, იძლევა მათთვის ინდივიდულაური სასწავლო გეგმების შექმნის შესაძლებლობას, ეს კი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელოვანი საფუძველია. ☐ ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამების არსებობა, რომლის პრიორიტეტებად განსაზღვრულია როგორც კვლევა, ასევე ორმაგი ხარისხის და საერთაშორისო სასწავლო პროგრამების მომზადება/შემუშავება და მეცნიერების პოპულარიზაცია. ☐ საგრანტო პროგრამაში გამარჯვებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ასახვა მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო პუბლიკაციებში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:
40 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნანა მაჭარაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი
ივანნა მაჩიტიძე

ირმა ქურდაძე

დავით ბრაგვაძე

თამარ ღუღუნიშვილი